საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოგვერაძე ანრი ალექსანდრეს ძე

ბოგვერაძე ანრი ალექსანდრეს ძე (30. VIII. 1933, ზესტაფონი,— 18. IV. 2002, თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1990).

1956 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1959-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში. 1995-იდან იყო შუა საუკუნეების საქართვ. ისტ. განყ-ბის გამგე.

ბ. იკვლევდა საქართვ. ფეოდ. ხანის სოც.-ეკონ., *პოლიტ.* ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებს. არის მონოგრაფიებისა და მრავალი სამეცნ. სტატიის, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომის ერთ-ერთი ავტორი. მონაწილეობდა აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის დამუშავებასა და შრომების გამომცემი კომისიის მუშაობაში, სადაც მისი რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა რამდენიმე ტომი.

თხზ.: ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961; „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი კრ.: ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968; ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV–VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის გაგებისათვის, კრ.; ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991; იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრება“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII თბ., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დათარიღებისათვის (იმავე კრებულში). 1999.